სკ დინამო თბილისი
პაიჭაძის ქ.; დიღმის მასივი; III კვარტალი
თბილისი 0159; საქართველო
ტელ.:+995 32 249 67 77
+995 32 251 88 77
ფაქსი:+995 32 250 79 83

DINAMO TBILISI
1925

03.05.2018
N: 04/54

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის არქიტექტურული სამსახურის
უფროსს თემურ ბოლოთაშვილს

ბ-ნო თემურ,

გაცნობებთ, რომ „დინამო“ თბილისის ფეხბურთის აკადემია მდებარეობს ლუბლიანას ქუჩა № 62-ში.

აკადემიაში ვარჯიშობს სხვადასხვა ასაკის (7-დან 18 წლამდე) 450 ფეხბურთელი. აკადემიაში მუდმივად ტარდება ადგილობრივი და საერთაშორისო დონის შეჯიბრებები. მათ შორის ვ. დარასელიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჭაბუკთა შორის, რომელშიც ქართულ გუნდებთან ერთად მონაწილეობას იღებენ ევროპის წამყვანი საფეხბურთო კლუბების ახალგაზრდული გუნდები: ბელგიური „გენტი“, იტალიური „ტურინი“, ესპანური „ესპანიოლი“, კიევის „დინამო“ და სხვა.

იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას დინამოს აკადემიაში ფეხბურთელების ვარჯიშებისა და შეჯიბრებების ჩატარებისათვის საჭირო აუცილებელი პირობები, გთხოვთ აკადემიის მიმდებარედ განლაგებულ მიწის ნაკვეთების: (01.13.01.017.082) (01.13.01.017.079) (01.13.01.017.080) (01.13.01.017.076) (01.13.01.017.078) (01.13.01.017.065) (01.13.01.015.101) (01.13.01.016.078) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენისას ჩაგვრთოდ საპროექტო დოკუმენტაციის და მშენებლობის ნებართვის განხილვის პროცესში.

ასევე ჩვენთვის გახდა ცნობილი, რომ ზემოდ ჩამოთვლილი ნაკვეთები მიეკუთვნებოდა პირველ საცხოვრებელ ზონას და გადაყვანილ იქნა მესამე საცხოვრებელ ზონაში, რაც იძლევა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენების საშუალებას და შესაბამისად შეუძლებელს ხდის აკადემიის სრულყოფილ ფუნქციონირებას.

ზ. ცინცაძე
დირექტორი
საფეხბურთო კლუბი „დინამო“ თბილისი

შპს "საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი"
"FOOTBALL CLUB DINAMO TBILISI" LL
204 423 454